თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №5002467

ნომერი: AR1751964

თარიღი : 03.06.2020

გაცემის თარიღი : 29.06.2020

გაცნობის თარიღი : 29.06.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დასახლება მუხიანი , IV მ/რ, კორპუსი 42-ის მიმდებარედ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი ქუთათელაძე პ/ნ 01007008397
- საქართველო, ქალაქი თბილისი, აკაკი წერეთლის გამზირი, N 99, ბინა 16

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 31 მაისის №4524516 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 3 ივნისს №AR1751964 განცხადებით მომართა გიორგი ქუთათელაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2019

წლის 31 მაისის №4524516 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ემუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 31 მაისის №4524516 ბრძანებით შეთანხმდა, ქალაქ თბილისში, დასახლება მუხიანი , IV მ/რ, კორპუსი 42-ის მიმდებარედ, №01.11.17.006.986 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (საცხოვრებელი, კომერციული) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2019 წლის 17 ივნისის №4548121 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 17 ივნისიდან 2021 წლის 17 დეკემბრის ჩათვლით.
წინამდებარე განცხადებით განმცხადებელი ითხოვს სამსახურის 2019 წლის 31 მაისის №4524516 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებას ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ განმცხადებელს სურს, საოფისე ფართობად 1849.81 კვ.მ-ს ნაცვლად 1603.77 კვ.მ-ს, საზაფხულო ფართობად 444.13 კვ.მ-ს ნაცვლად 490.62 კვ.მ-ს, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 1017.66 კვ.მ-ს ნაცვლად 1129.28 კვ.მ-ს, დამხმარე ფართობად 15.12 კვ.მ-ს ნაცვლად 50.59 კვ.მ-ს.
სამსახურმა შეცვლილი ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა წარმოდგენილ გეგმა ნახაზებს და დაადგინა, რომ 2019 წლის 31 მაისის №4524516 ბრძანებაში საოფისე ფართობი უნდა იყოს 1603.77 კვ.მ., საზაფხულო ფართობი - 490.62 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი - 1129.28 კვ.მ., დამხმარე ფართობი - 50.59 კვ.მ., საერთო ფართობი - 6478.87 კვ.მ. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, უბრალოდ ხდება მხოლოდ გეგმებზე ფართობების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 31 მაისის №4524516 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 31 მაისის №4524516 ბრძანებაში და საოფისე ფართობად დაფიქსირდეს 1603.77 კვ.მ., საზაფხულო ფართობად - 490.62 კვ.მ., კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად - 1129.28 კვ.მ., დამხმარე ფართობად - 50.59 კვ.მ., საერთო ფართობად - 6478.87 კვ.მ.
2. სამსახურის 2019 წლის 31 მაისის №4524516 ბრძანებით შეთანხმებული -2.72, 0.00 და +32.80 ნიშნულის გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი ამავე ნიშნულის გასწორებული გეგმებით.
3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 31 მაისის №4524516 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 31 მაისის №4524516 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.